სამოქალაქო რელიგია და მისი პერსპექტივები საქართველოში(1990-2012)

ზვიად ზალიკიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ემზარ ჯგერენაია, სოციოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოუქვეყნებელ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ზვიად ზალიკიანი

20.02.2015

აბსტრაქტი

სამოქალაქო რელიგია დიდ მნიშვნელობას იძენს დასავლეთში. ის გვევლინება, როგორც ამერიკული მოვლენა და მოქმედებს სოციეტალურ, ისევე პოლიტეტალურ დონეზე. ამ თეორიის მიხედვით, სახელმწიფოს მეთაურები ხშირად იყენებენ სამოქალაქო რელიგიის პრინციპებს საერთო ეროვნული და სამოქალაქო ღირებულებითი ბაზისის ფორმირებისათვის, რამაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოებრივი აზროვნება კერძო, სამოქალაქო და პოლიტიკურ სივრცეში.

ჩემი კვლევის მიზანია, დავადგინო, არსებობს თუ არა სამოქალაქო რელიგია საქართველოში და რა ფუნქციას ასრულებს ის ქვეყნის პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში. კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად თვისებრივი მეთოდის გამოყენებით. კვლევის პირველი ეტაპი გულისხმობდა ლიტერატურის დისკურსულ ანალიზსა და სიღრმისეულ ინტერვიუებს. ხოლო კვლევის შემდეგ ეტაპზე ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები სამიზნე ჯგუფთან (ექსპერტები).

კვლევის შედეგად, განხილული იქნა საქართველოს პრეზიდენტების ინაუგურაციის სიტყვები („სფიჩები“) და გაანალიზდა, რამდენად შეიცავდა ისინი სამოქალაქო რელიგიის მახასიათებლებს. შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოს პრეზიდენტები იყენებენ სამოქალაქო რელიგიის ძირითად პრინციპებს საკუთარ გამოსვლებში.